განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 2 ნოემბერი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი - 1 დეკემბერი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფსიქოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313, ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №262 26.07.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ბადრიშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მზია თედიაშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ბერიძე, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეკლე ჩხეიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 2009 წლიდან. პროგრამამ 2012 წლის 26 ივლისს მიიღო აკრედიტაცია (აკრედიტაციის №262). ამჯერად, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა გადის რეაკრედიტაციას.

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტები, რომლებთაც ექნებათ სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში თეორიული, მეთოდოლოგიური, კვლევითი პრინციპების, კონტექსტუალური საკითხების სიღრმისეული ცოდნა; თანამედროვე მოთხოვნებისა და ეთიკის ნორმების დაცვით განუვითაროს სამეცნიერო, გამოყენებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარი და, კონკრეტული სოციალური ჯგუფის საჭიროების შესაბამისად, განუვითაროს სოციალური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების, სხვადასხვა სფეროებში სოციალური ინტერვენციების დაგეგმვის, დანერგვის ინიცირებისა და ინტერვენციის შეფასების უნარი.

სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია, რომელიც მოიცავს 4 სემესტრს. პროგრამა აგებულია საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ-პრაქტიკულ, ასევე, კვლევით სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამა მოიცავს სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ კომპონენტს. სავალდებულო კრედიტების რაოდენობაა 80. ამათგან, 45 კრედიტი ნაწილდება სასწავლო საგნებზე, 30 კრედიტი ენიჭება სამაგისტრო ნაშრომს, ხოლო 5 კრედიტი-პრაქტიკას. არჩევითი საგნების ერთობლიობა შეადგენს 30 კრედიტს, ხოლო თავისუფალ კომპონენტის - 10 კრედიტს.

პროგრამის ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციები. 2015 წლამდე პრაქტიკის კომპონენტი შედიოდა პროგრამაში და სტუდენტების თხოვნით გააუქმეს. ამჯერად, სტუდენტების რეკომედაციის საფუძველზე, კვლავ შეტანილ იქნა პრაქტიკის კომპონენტი (5 ECTS კრედიტი). შესაბამისად, პრაქტიკა იქნება შედარებით მოკლევადიანი, რაც გულისხმობს კვირაში 15 საათი პრაქტიკის გავლას.

უკუკავშირის საფუძველზე, უკვე არსებულ პროგრამას დაემატა 9 ახალი სასწავლო კურსი, მათგან, 1 სავალდებულო და 8 - არჩევითი. აქედან, 4 არჩევითი კურსი ჩართულ იქნა სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან, 5 სასწავლო კურსი კი შემუშავდა პროგრამის ფარგლებში.

განახლდა ლიტერატურა და გათვალისწინებულ იქნა საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ივანე ჯავახიშვლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 2 ნოემბერს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლატფორმის მეშვეობით.

წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელებთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გამოყენებით სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პეციალისტების, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება - ბიბლიოთეკარის დახმარებით.
ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. გარდა მიგნებების გაცნობის სესიისა. პროგრამის ხელმძღვანელი უკმაყოფილო იყო ერთ სამუშაო დღეში პროგრამის განხილვის პრაქტიკით და თვლიდა, რომ 2-3 დღეზე ვიზიტების გადანაწილება მისთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 1.2, 2.1, 2.2., 2.3, 2.4, 2.5, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2 სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; და 2.6, 5.3 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
  - რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები **F**/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს #3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით;
  - საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, კვლევები ჩატარდეს კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შემდეგნაირად იყოს ფორმულირებული- Master of Psychology.
  - სასურველია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას.
  - სასურველია პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი/ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- „არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არგაზიარების შესახებ ინფორმაცია“

2.6.

- ***რეკომენდაცია (1)*: *რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობით; აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები*** - ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას და უცვლელად ტოვებს რეკომენდაციას, რადგან, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, ბრძანება #3-ის თანახმად, ფასდება სტუდენტის აკადემიური მოსწრება და არა მხოლოდ ჯგუფში დასწრება.
- ***რეკომენდაცია (2)*: *გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და გაიწეროს #3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით*** - ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას, ვინაიდან, *11.7 პუნქტის ჩანაწერი ეწინააღმდეგება კრედიტებით გაანგარიშების წესის მუხლი 4.19-ით შეფასებას. საჭიროა ცალკე გამოიყოს* F შეფასება (მუხლი 4.19. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-9 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას). მეტი სიცხადისთვის, რეკომენდაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად: **რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები F/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს #3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით**;
- ***რეკომენდაცია (3)*: *რეკომენდებულია, #3 ბრძანების შესაბამისად, გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, რათა იგი სტუდენტებისთვის წინასწარ იყოს ცნობილი;*** - ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დებულებაში: „სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა“-ის მიხედვით, 11.4 მუხლში წერია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს ადგენს ფაკულტეტი. ვიზიტის დროს ინსტიტუციას დავუსვით შეკითხვა აღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით, თუ რამდენად ჰქონდათ წინასწარ შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, რაზეც მივიღეთ თანხმობა, რომ გადმოაგზავნიდნენ აღნიშნულ დოკუმენტს, თუმცა ვიზიტის განმავლობაში არ იქნა გადმოგზავნილი დებულება, რომელშიც გაწერილი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო მხედველობაში გადმოგზავნილი კრიტერიუმები, რადგან, არ იგი არ იქნა წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტის სახით. გარდა ამისა, ვორდის ფაილით წარმოდგენილი 4 კრიტერიუმი და ვიზიტისას გადმოგზავნილი დოკუმენტი (იხ. სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი დოკუმენტი) განსხვავდება არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი კრიტერიუმებისგან.
- **5.3.** ***რეკომენდაცია*: *საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, კვლევები ჩატარდეს კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით.*** - ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას. სააკრედიტაციოდ შესაფასებელი დოკუმეტაციიდან, დანართ 14-ში: „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და გამოკითხვის ფორმები“ წარმოდგენილ კითხვარებში და ანალიზში აღნიშნულ პროგრამასთან კავშირი არ დგინდება რამდენიმე გამონაკლისის გარდა, რადგან წარმოდგენილია საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დონეზე გამოკითხვები; მაგალითად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა საბოლოო შეფასებების განაწილების შედარება ოპტიმალურ (გაუსის ტიპის) განაწილებასთან, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა დისტანციური სწავლების შესახებ, 2020 წ. და სხვა. აღნიშნული კვლევები არ იძლევა ინფორმაციას გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით.

- **პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“ მიზნებში სრულად ასახულია, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას ემსახურება ის. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. („სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში თეორიული, მეთოდოლოგიური, კვლევითი პრინციპების, კონტექსტუალური საკითხების სიღრმისეული ცოდნა; განუვითაროს სამეცნიერო, გამოყენებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარი, თანამედროვე მოთხოვნებისა და ეთიკის ნორმების დაცვით; ჩამოუყალიბოს სოციალური პრობლემების ანალიზის უნარი სოციალურ-ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან, სოციალურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლის უნარი მიკრო, მაკრო და მეზო დონეებზე; განუვითაროს სოციალური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების, სხვადასხვა სფეროებში სოციალური ინტერვენციების დაგეგმვის, დანერგვის ინიციირებისა და ინტერვენციის შეფასების უნარი კონკრეტული სოციალური ჯგუფის საჭიროების შესაბამისად“.) პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოების და სოციალური ფსიქოლოგიის სფეროს განვითარებაში. ვინაიდან, საქართველოში მზარდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ფონზე, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია პრობლემების გადაჭრაში ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა განათლება და დასაქმება, ქვეყნისა და ორგანიზაციის ეფექტური მმართველობა, დემოკრატიის მშენებლობა, ჯანდაცვა, მოწყვლადი ჯგუფების სოციალური ინტეგრაცია და სხვა. სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია ისეთ სფეროებზე, როგორიცაა განათლება და დასაქმება, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობა განათლებასა და დასაქმებაზე, უმუშევრობის, სიღარიბის. ე.წ. NEET (ახალგაზრდები რომლებიც უმუშევრები არიან და არც განათლებას იღებენ) ახალგაზრდების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, შშმ და სსმ პირების და ზოგადად მოწყვლადი ჯგუფების სოციალური ინტეგრაცია, სტერეოტიპები და ცრუ რწმენები, ეიჯიზმი, კროს-კულტურული ფაქტორების, სოციალური იდენტობის, განწყობების კვლევა და სხვა. ასევე, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სოციალური პრობლემების ანალიზს, შესაბამისი სოციალური ინტერვენციების დაგეგმვასა და დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას. ეს პროცესი უნდა ემყარებოდეს კვლევას, მტკიცებულებების შეგროვებასა და ანალიზს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში მეცნიერ-მკვლევრებისა და კონსულტანტების მომზადება, რომლებსაც შესაბამისი ცოდნა და სოციალური პრობლემების ანალიზის კომპეტენცია ექნებათ.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიულ გეგმასთან და ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიასთან. რაც აისახება საგანმანათლებლო პროცესში კვლევების ინტეგრირებაში, პროგრამის მოდერნიზაციასა და ინტერნაციონალიზაციაში.

პროგრამის შემუშავებისას უსდ-ს მიერ ჩატარებულია სამაგისტრო პროგრამის დამსაქმებელთა გამოკითხვა. გამოიკითხა 12 პოტენციური დამსაქმებელი. ანგარიშის მიხედვით, დამსაქმებლები კმაყოფილები არიან მაგისტრანტების მომზადების დონით, პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნით, პროფესიული და სოციალური უნარებით. მათ არ ჰქონდათ მაგისტრების ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. დამსაქმებლები სტუდენტების ძლიერ მხარედ მიიჩნევენ მათ კარგ კვლევით უნარებს, ინიციატივის, ხელმძღვანელობის, თანამშრომლობისა და ჯგუფური უნარების ფლობას და ეთიკური ნორმების დაცვას (კურსდამთავრებულთა 100% დასაქმებულია). დამსაქმებელთა გამოკითხვაში (2020წ.) პირველი დიაგრამის დასახელებაა - დოქტორანტების ცოდნისა და უნარების შეფასება. როგორც ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზია.

სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა 2007 წელს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოროსის ფონდის აკადემიური სტიპენდიის პროგრამის (Academic Fellowship Program) დახმარებით. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა 2009 წლიდან უწყვეტად ხორციელდება. პროგრამის მომზადების პროცესში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები სტირლინგის უნივერსიტეტიდან, ჰავაის უნივერსიტეტიდან, ედინბურგის უნივერსიტეტიდან და კოლუმბიის უნივერსიტეტიდან. 2021 წელს, პროგრამის გაუმჯობესებასთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, კონსულტაცია გაიარეს კანადის კონკორდიის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა, ინტერვიუს დროს განაცხადა რომ არაფორმალური კონსულტაციები ჰქონდა კანადის მონრეალის უნივერსიტეტის და პორტოს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების სამომავლო ხედვის თანახმად, დაგეგმილია საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პარტნიორობა (ბათის, მონრეალისა და კონკორდიას უნივერსიტეტები) და მათთან ერთად პროგრამისა და სილაბუსების გადამუშავება; პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გასაძლიერებლად იგეგმება კურსების მომზადება და წაკითხვა ინგლისურ ენაზე; უცხოელი კოლეგების ჩართვა კონკრეტული საგნების სწავლების პროცესში; სტუდენტების ხელშეწყობა, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში და გამოაქვეყნონ სტატიები რეფერირებად ჟურნალებში.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების, მათ შორის, პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ (სამაგისტროს კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; დანართი #1
- პროგრამის სილაბუსები; დანართი #1
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში, დანართი #8
- თსუ-ის მისია: https://www.tsu.ge/ka/page/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91
- თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N79/2018 დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის დამტკიცების შესახებ“; https://www.tsu.ge/ka/legalakad/15991

- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024); https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2018-2024_93990.pdf;
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი (დანართი # 3)
- დანართი 10
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სწავლის შედეგები წარმოდგენილია 7 პუნქტის სახით, რომელიც გადანაწილებულია 3 ჯგუფად.

ცოდნა და გაცნობიერება – წარმოდგენილია 2 პუნქტით.

1. კრიტიკულად აფასებს სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და მოდელებს, პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს;
2. კრიტიკული გააზრების საფუძველზე ახდენს ცოდნის ინტერპრეტაციას; აცნობიერებს ამ ცოდნის განზოგადების პრინციპებს ფსიქოლოგიისა და მომიჯნავე სფეროებში;
პრაქტიკული უნარები წარმოდგენილია 3 პუნქტით.
სტუდენტს შეუძლია:
3. სოციალური პრობლემების სოციალურ-ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან კვლევა, სოციალურ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა სხვა და სხვა დონეზე ფართო კონტექსტის გათვალისწინებით, როგორიცაა: ეკონომიკური, სოციალური, განათლების და სხვა
4. სოციალური პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიება და ახალი ინტერვენციების დანერგვის ინიციირება კონკრეტული სოციალური ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით
5. განხორციელებული სოციალური ინტერვენციების შედეგებისა და მათ გავლენის შეფასება სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ჯგუფთან ერთად ან დამოუკიდებლად
ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა წარმოდგენილია 2 პუნქტით.
კურსდამთავრებულს შეუძლია
6. პროფესიულ საქმიანობის პროცესში თანამედროვე სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვა;
7. საკუთარი პროფესიულ განვითარების რეფლექსია, დაგეგმვა და განხორციელება. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კოლეგების მხარდაჭერის საფუძველზე.
სამაგისტრო პროგრამის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს, უმაღლესი განათლების საფეხურის აღწერასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ფსიქოლოგიის მაგისტრი-Master in Psychology. ეროვნულ კვლაიფიკაციათა ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად სასურველია, სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შემდეგნაირად იყოს ფორმულირებული- Master of Psychology.
პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი და საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამის შემუშავების პროცესში 2007 წლიდან ეტაპობრივად იყვნენ ჩართულები. შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.
პროგრამას აქვს ლოგიკურად გააზრებული და მკაფიოდ განსაზღვრული კურიკულუმის რუკა, სადაც ნათლად ჩანს თუ რომელი სასწავლო კურსებით და კვლევითი კომპონენტით ვითარდება მაგისტრანტებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკაზე მითითებულია ისიც თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის კურსი პროგრამის სასწავლო შედეგებს: 1 – გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის შეფასება მოიცავს ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები, მაგ., პროგრამის სხვადასხვა რაოდენობრივი მონაცემების, პროგრამასთან მიმართებაში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებლები, დამსაქმებლები) დამოკიდებულებების და საჭიროებების შეფასება-ანალიზი და სხვ. პირდაპირი შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა პროგრამის ათვისების (დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის) შეფასება - პროგრამის თითოეული შედეგისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და ამ ნიშნულებთან მიღწეული შედეგების დადარება,

რითაც შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით დადგენილ სწავლის შედეგებს და როგორია პროგრამის ათვისების მაჩვენებელი.

უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ თანახმად: „პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული წარმოადგენს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები აღნიშნულ სწავლის შედეგს. სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება წინა გამოცდილების/მონაცემების ანალიზის და/ან სასურველი/მოსალოდნელი შედეგის საფუძველზე“. ამავე დოკუმენტის დანართის („პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება“) საფუძველზე, აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის თითოეული შედეგისთვის განსაზღვრულია:

- პროგრამის კომპონენტ(ებ)ი, რომლითაც ხდება შეფასება;
- შეფასების მეთოდი (პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული მუშაობა, ესე, პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა, დასკვნითი პროექტი, კვლევითი პრაქტიკული ნაშრომები);
- სამიზნე ნიშნულები (მაგ., კონკრეტული შედეგების შემთხვევაში მაქსიმალური შეფასების 75-100%-ს მიიღებს სტუდენტების 70%; მაქსიმალური შეფასების 75-100%-ს მიიღებს სტუდენტების 75%);
- მონაცემების შეგროვების დრო (მონაცემები შეგროვდება ყოველი სემესტრის ბოლოს);
- პასუხისმგებელი პირი (პროგრამის ხელმძღვანელი / კურსის სილაბუსის ავტორი);
- მიღებული შედეგების ანალიზი (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).

აქვე აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოლოდინი რეალისტურია და ეყრდნობა ბოლო 5 წლის შეფასების შედეგებს. თვითშეფასების ანგარიშში 2019/2020 სასწავლო წლის მონაცემები არასწორად არის შეტანილი, მაგრამ ფაქტია რომ 70%-ის ქვევით შედეგები არ არის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან რეალურად მიღწეული მაჩვენებლების დადარება-ანალიზი მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის, რადგან მიღებული შედეგების შესწავლა შესაძლოა გახდეს სხვადასხვა ცვლილებების გამომწვევი გარემოება.

აკრედიტაციის მიზნით წარდგენილ პროგრამას ერთვის „პროგრამის კურიკულუმის რუკა (პროგრამის შედეგების და კურსების შესაბამისობა), პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა და სამიზნე ნიშნულების რუკა („პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება“). ერთობლივად, ეს სამი დოკუმენტი ქმნის პროგრამის მიზნების, შედეგებისა და მათ მიღწევისთვის აუცილებელი კომპონენტების ურთიერთკავშირის მკაფიო სურათს, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება კი, წარმოადგენს პროგრამის შედეგების (შესაბამისად - მიზნების) მიღწევის დადასტურების ობიექტურ რაოდენობრივ ინდიკატორს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა (დანართი #1)
- პროგრამის სილაბუსები (დანართი #1)
- კურსდამთავრებულთა კვლევა (დანართი #14)
- დამსაქმებელთა კვლევა (დანართი #8)
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა; დანართი# 4
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის დადგენილება N77/2011 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“; https://www.tsu.ge/en/legalakad/39830
- დარგობრივი კომიტეტის შემადგენლობა და სხდომის ოქმი (დანართი #3);

• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შემდეგნაირად იყოს ფორმულირებული: Master of Psychology.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ <u>**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის – „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის“ სტუდენტი შეიძლება გახდეს ფსიქოლოგიის, განათლების მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩააბარებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – საერთო სამაგისტრო გამოცდებს. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს საუნივერსიტეტო გამოცდა სოციალურ ფსიქოლოგიაში და წარმატებით გაიაროს გასაუბრება ინგლისურ ენაზე (სპეციალურად მომზადებული ტექსტების თარგმნა და წარმოდგენა გასაუბრების პროცესში). უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის მსურველთა სრულყოფილად ინფორმირების მიზნით, პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად ვრცელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული მხარდაჭერა მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და საჯაროობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ფორმულირებულია მოქმედი კანონმდებლობისა და თსუ რეგულაციების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" (დანართი #1)
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა;
- https://tsu.ge/assets/media/files/54/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://tsu.ge/ka/faculty/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/6
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით და შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტს, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას. პროგრამის განახლების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული პირი (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სპეციალისტი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები). აღნიშნული დასტურდება როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან, ასევე ინტერვიუს შედეგებით.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლის საფეხურს, ასევე, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 80 ECTS კრედიტს (45 ECTS კრედიტი სასწავლო კურსები, 30 ECTS კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი, 5 ECTS პრაქტიკა); არჩევითი სასწავლო კურსები 30 ECTS კრედიტი, თავისუფალი 10 ECTS კრედიტი. პროგრამის ძირითადი კომპონენტებია: კურსების ერთობლიობა, პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამა შედგება 2 სახის კურსებისგან: თეორიულ-პრაქტიკული და კვლევითი; თითოეულ მათგანში შედის სავალდებულო და არჩევითი კურსები. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ პერსონალთან უკუკავშირის შედეგად, განახლების პროცესში, პროგრამას დაემატა 9 ახალი კურსი, 1 სავალდებულო (გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია და სოციალური ინტერვენციები) და 8 არჩევითი (დ. უზნაძის განწყობის თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიის კონტექსტში; ცრუ რწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივები; კარიერის მართვა; ენა და კულტურა; ჯგუფთან მუშაობის მეთოდები; სოციალური სამართლიანობის თეორიები; სტრესის ზემოქმედების შემცირების მექანიზმები -მაინდფულნესი/მაინდფულნეს კვება; განათლების ფსიქოლოგია). არჩევითი კურსების მრავალფეროვნება მაგისტრანტებს აძლევს საშუალებას აირჩიონ კურსები თავისი ინტერესების შესაბამისად. პროგრამაში შემავალი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული და ადეკვატურია კურსზე დაშვების წინაპირობები.

პროგრამის ძლიერი მხარეა მისი კვლევითი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია შემდეგი კომპეტენციების განვითარებაზე: ა) კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა; ბ) რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვება; გ) მონაცემების ანალიზი SPSS და MAXQDA პროგრამების საშუალებით; დ) პროგრამისა და პროექტის შეფასება; ე) შედეგების წარდგენა სამიზნე სამეცნიერო საზოგადოებასთან. ზემოთ აღნიშნულს, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ინტერვიუს დროს ადასტურებენ.

თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული სილაბუსების განხილვის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი აგებულია გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის უახლესი მიღწევებისა და კვლევითი ტენდენციების გათვალისწინებით. გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ძირითადად უცხოენოვანია და უახლეს განვითარებას ასახავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019დადგენილება „სსიპ–ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და პროცედურის დამტკიცების შესახებ"" https://www.tsu.ge/ka/legalakad/15842

- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა (დანართი # 1)
- პროგრამის სილაბუსები (დანართი # 1)
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები (დანართი #3)
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა; დანართი #4
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ყოველი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კურსის შედეგები ფორმულირებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერების საფუძველზე და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის უპირატესობაა შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნება. ასევე მისასალმებელია, რომ კურსების ლექტორები ხშირ შემთხვევაში დარგის პრაქტიკოსები არიან, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამის ფარგლებში

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად, ასევე სტუდენტების მომავალი დასაქმების კუთხითაც.
სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შესაბამისობაშია კურსის სირთულესთან და სწავლის შედეგებთან. იმისათვის რომ დადგინდეს, რამდენად ეფექტიანია საათების არსებული განაწილება, ყოველი სემესტრის შემდეგ ტარდება სტუდენტების გამოკითხვა. კითხვარში სხვა კითხვებთან ერთად არის კითხვა, რომელიც ეხება დატვირთვის ადეკვატურობას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა/სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში განმარტებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მეტწილად სრულყოფილად აფასებს კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.
კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო თანამედროვე, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, online ჟურნალები. მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის, ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდზე: e-learning.tsu.ge. მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე. თუმცა, საბიბლიოთეკო ფონდის დათვალიერებისას შემთხვევით შერჩეული 3 სახელმძღვანელოდან ბიბლიოთეკაში ერთის მოძებნა ვერ მოხერხდა.
ზოგიერთი კურსის სილაბუსში არის მცირე უზუსტობები. მაგალითად, კურსის, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია და სოციალური ინტერვენციები, სილაბუსში არ არის მითითებული დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. თუმცა, სასწავლო კურსის შინაარსში დამხმარე ლიტერატურა მითითებულია. კურსის, დ. უზნაძის განწყობის თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიის კონტექსტში, სილაბუსში არც სავალდებულო და არც დამხმარე ლიტერატურაში არ არის მითითებული ის ლიტერატურა, რომელიც სასწავლო კურსის შინაარსშია მითითებული (ი. იმედაძე ფსიქოლოგიის შესავალი; Myers, D.G. Social Psychology, 4th ed. McGRAW-HILL, INC; ჩარკვიანი დ. ფსიქიკურ მოვლენათა კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები). სასურველია ეს მცირე უზუსტობები გასწორდეს.
მაგისტრანტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები (EBSCOHost, Cambridge Journals Online, Oxford Journals Collection, Encyclopaedia Britannica, BioOne, Royal Society Journals Collection, IMF eLibrary, Massachusetts Medical Society, Pediatric Neurology Briefs Publishers, SAGE Publications, Jstor, EconLit, EconBiz, IOP Publishing, Elsevier Science Direct, Web of Science და სხვ) როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ასევე უნივერსიტეტის მიღმა (მათთვის, ვისაც აქვს უნივერსიტეტის ელფოსტა).
უნივერსიტეტში სწავლისა და კვლევის პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მუშაობს ტექსტის ამომცნობი ელექტრონული პროგრამა Turnitin, რომელიც ემსახურება პლაგიატის პრევენციას. სტუდენტებს აქვთ საშუალება, ისარგებლონ ელექტრონული სწავლების პორტალი – Moodle-ით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა (დანართი #1)
- პროგრამის სილაბუსები (დანართი #1)
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა; დანართი #4
- აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 დადგენილება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი https://www.tsu.ge/ka/legalakad/15638

- დანართი 14; 1.03-დანართი 5
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია კურსის სილაბუსებში არსებული უზუსტობების შესწორება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა, სწავლის შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, რაც თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა.

კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტებს მისცეს სტატისტიკის ღრმა ცოდნა, განუვითაროს თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარები თანამედროვე პროგრამებისა (SPSS და MAXQDA) და მოთხოვნების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს ბოლო სემესტრში ხელმძღვანელის სუპერვიზორობით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას ახორციელებენ კვალიფიციური პირები, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით.

სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტიანია. თემის შერჩევისას ხდება სტუდენტის კვლევითი ინტერესების, პროგრამის კვლევითი მიმართულებებისა და პოტენციური ხელმძღვანელის კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას უზრუნველყოფილია რეგულარული კონსულტაცია ხელმძღვანელთან; სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ინიშნება წინასწარი დაცვა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ. სამაგისტრო ნაშრომი წინასწარ დაცვამდე გადის შემოწმებას ანტიპლაგიატის პროგრამაში.

კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების უკუკავშირის გათვალისწინები, პროგრამას დაემატა პრაქტიკის კომპონენტი (5 ECTS), რომელიც პროგრამაში 2015 წლამდე შედიოდა და გაუქმდა სტუდენტების თხოვნით, რადგან დასაქმების გამო ვერ ახერხებდნენ მასზე დასწრებას; შესაბამისად, ამჟამად პრაქტიკა იქნება მოკლევადიანი და კვირაში მხოლოდ 15 საათს მოიცავს, რაც სტუდენტებს მისი გავლის შესაძლებლობას მისცემს. პრაქტიკის მიზანია, მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრირება და პრაქტიკული გამოცდილების მიღება რეალურ სამუშაო გარემოში. პრაქტიკა განხორციელდება მეოთხე სემესტრში, სამაგისტრო კვლევის განხორციელების პარალელურად. პრაქტიკის გავლა შესაძლებელი იქნება პარტნიორ ორგანიზაციაში. პრაქტიკის თემატიკა წინასწარ იქნება შეთანხმებული პროგრამის ხელმძღვანელთან. პრაქტიკის კურსის სილაბუსში არ არის აღწერილი პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას. მოცემულია პრაქტიკაზე სტუდენტის შეფასების მექანიზმები- პრაქტიკის ობიექტზე დასწრება (30 ქულა), თეორიული მასალის მომზადება წერილობით (10 ქულა), მონაცემთა შეგროვება საველე სამუშაო, პრაქტიკის დღიური (10 ქულა), ანგარიშის წარდგენა, პრაქტიკის დაცვა და პრეზენტაცია (40 ქულა). წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მართალია არის პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი / ხელშეკრულება. მაგრამ ის არ ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა (დანართი #1) • პროგრამის სილაბუსები (დანართი #1) • პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა (დანართი #4) • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას. ○ სასურველია,პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი/ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ეს მეთოდებია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning) და სხვა.
სწავლება-სწავლის მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული სასწავლო კურსისთვის. მაგალითად, კურსი - გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია და სოციალური ინტერვენციები იყენებს შემდეგ მეთოდებს: დისკუსია, გონებრივი იერიში, ახსნა-განმარტება, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა. ესსები, პრეზენტაცია, დემონსტრირება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (e-learning). ხოლო კურსი - სტრესის ზემოქმედების შემცირების მექანიზმები - მაინდფულნესი/მაიდფულნეს კვება, სხვა ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, იყენებს პრაქტიკულ მეთოდებს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებით, ძირითადად, ქმედებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენებით.
სპეციალური საჭიროებების მქონე მაგისტრებისათვის დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი.
სწავლის მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის სწავლების საფეხურს და კურსის შინაარსს. შერჩეული სწავლა/სწავლების მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია, როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის, ისე პროგრამის შედეგების მიღწევა.
2020 წლიდან სასწავლო პროცესი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს zoom-ის პლატფორმის გამოყენებით; უნივერსიტეტში, აკადემიური პერსონალისთვის zoom-ის გამოყენების ტრენინგები ჩატარდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა; დანართი #1
- პროგრამის სილაბუსები; დანართი #1
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა (დანართი #4).
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ; https://www.tsu.ge/ka/legalakad/15977
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამაში მოქმედებს მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია თითოეულ სილაბუსში. შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება შემდეგნაირად: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შუალედური და დასკვნითი შეფასების გარდა, სტუდენტი ფასდება სასწავლო კურსში მოცემული აქტივობების განხორციელების შედეგად. ესენია: ესეები, ქეისები, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები, გამოკითხვები და სხვა სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობები. ზოგ სასწავლო კურსში, მაგალითად, სტრესის ზემოქმედების შემცირების მექანიზმები - მაინდფულნესი/მაინდფულნეს კვება, პოლიტიკური კომუნიკაციის ფსიქოლოგია - ლექციებზე დასწრება - 15 ქულა; გარემოს ფსიქოლოგია - ჯგუფში აქტიურობა -20 ქულა- 10 აქტიურობა თითოეული აქტიურობა ფასდება 2 ქულით 2-აქტიურია 1. ნაწილობრივაა აქტიური 0 - არ არის აქტიური; ვიზუალური კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში,სოციალური ინტერვენციებისა და პროექტების შეფასება,

კვლევითი სტატიების ანალიზი და პრეზენტაცია, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია და სოციალური ინტერვენციები, პრაქტიკა– გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, თანამედროვე სოციალური პრობლემების სოც. ფსიქოლოგიური ასპექტები, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები - შეფასების კრიტერიუმებში ცაკლე კომპონენტად არის გამოყოფილი დასწრება, რაც რეკომენდებულია რომ შეიცვალოს (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, ბრძანება # 3), რაც გულისხმობს, რომ ფასდება სტუდენტის აკადემიური მოსწრება და არა მხოლოდ ჯგუფში დასწრება. დასწრება/აქტივობის შემთხვევაში არ არის განსაზღვრული აქტივობის შეფასების კომპონენტები, რაც რეკომენდებულია რომ იყოს.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში, მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში შესატანია ცვლილება, რაც ეხება 11. 7 კრიტერიუმს: სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (**F**/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია", რადგან **F**-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას (ბრძანება #3,) (ამონარიდი ბრძანებიდან: „ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

ასევე, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულების 11.4 მუხლში მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს ადგენს ფაკულტეტი. ჩვენ გამოვითხოვეთ აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები, თუმცა ვერ მივიღეთ დამაკმაყოფილებელი პასუხი.

რეკომენდებულია, #3 ბრძანების შესაბამისად, გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, რათა იგი სტუდენტებისთვის წინასწარ იყოს ცნობილი. გარდა ამისა, სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ მათთვის უმჯობესი იქნებოდა წინასწარ სცოდნოდათ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

კურსში გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის შეფასება მოიცავს პრაქტიკის ობიექტზე დასწრებას, თეორიული მასალის წერილობით მომზადებას, მენტორის შეფასებას, მონაცემთა შეგროვებას (საველე სამუშაო) და ანგარიშის წარდგენას (პრაქტიკის დაცვა და პრეზენტაცია).

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომლის საშუალებითაც, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული ქულა.

ყველა ეს ინფორმაცია გამჭვირვალეა და სტუდენტს მიეწოდება სწავლის დაწყებისთანავე. ისინი აქტიურად იღებენ უკუკავშირს, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე ლექტორებისგან, სასწავლო კურსის ფარგლებში და ასევე კურსის დასრულების შემდგომაც. გარდა სილაბუსებისა, ისინი ინფორმაციას იღებენ უშუალოდ აკადემიური პერსონალისგან და ასევე, იყენებენ სტუდენტთა პორტალს - https://lms.tsu.ge-ს, რომელშიც მოცემულია ყველა ზემოთაღნიშნული ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
- პროგრამის სილაბუსები
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულება
- სწავლის შედეგების რუკა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;

• რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები F/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს #3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტები, სწავლის დაწყებისთანავე იღებენ სრულ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, ისე აკადემიური პერსონალისგან. სტუდენტები აქტიურად იყენებენ მათთვის განკუთვნილ პორტალს - https://lms.tsu.ge-ს, რომელშიც განთავსებულია ყველანაირი ინფორმაცია სასწავლო პროცესის თაობაზე (სილაბუსები, მასალები, შეფასების კრიტერიუმები, რეგისტრაცია, შეფასების გასაჩივრების ფორმა, გაცვლითი პროგრამები, ადგილობრივი და საერთაშორისო პროგრამები). ასევე LMS-ზე იტვირთება დეტალები სხვადასხვა კონფერენციებთან, პროექტებთან და ვაკანსიებთან და სტაჟირებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სტუდენტებს SMS-ის და იმეილის სახითაც ეგზავნებათ სიახლების და მიმდინარე პროექტების, ვაკანსიების და კონფერენციების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგან დგინდება, რომ მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ ლექტორებთან და საჭიროების შემთხვევაში იღებენ კონსულტაციებს ლექციის ფარგლებს გარეთაც, რაც გათვალისწინებულია პერონალის დატვირთვაში.

სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტი კარგად ადაპტირებულია პანდემიით გამოწვეულ ონლაინ სწავლებაზე, შესაბამისად არ აღნიშნავენ ამ მხრივ შეფერხების არსებობას.

უნივერსიტეტის საიტზე განთავსებულია მაგისტრატურის გზამკვლევი (https://tsu.ge/ka/page/მაგისტრატურის-გზამკვლევი) რომელშიც მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია მაგისტრანტებისთვის: სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სტუდენტის დატვირთვა, ინფორმაცია რეგისტრაციასთან, სწავლის საფასურთან, სასწავლო პროცესის ელექტრონულად მართვის სისტემასთან, მობილობასთან და სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით.

სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ბაზებზე და სწავლის დაწყებისთანავე ეცნობიან გამოყენების ინსტრუქციას.

უნივერსიტეტში 2014 წლიდან მოქმედებს კარიერული განვითარების ცენტრი, რომელის ფარგლებშიც, ტარდება დასაქმების ფორუმები, რაც ეხმარება სტუდენტებს დასაქმებაში. ასევე, განათლების პროგრამის სტუდენტების დასაქმებაში დიდი როლს თამაშობს პრაქტიკის კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იღებენ კვლევების ჩატარების გამოცდილებას. ასევე, სტუდენტების თქმით, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ყოველთვის მზად არის რეკომენდაცია გაუწიოს სტუდენტს დასაქმების კუთხით. ასევე, ყველა ინფორმაცია ვაკანსიების და სტაჟირებების თაობაზე, იდება უნივერსიტეტის Facebook ჯგუფში. აღინიშნება სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

2017 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი, რის შესახებაც ინფორმაცია არის საჯარო და განთავსებულია უნივერსიტეტის საიტზე.

ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაერთიანდნენ სხვადასხვა სტუდენტურ კლუბებში.

სტუდენტები მონაწილებას იღებენ ყოველსემესტრულ გამოკითხავში, რომლის ფარგლებშიც, შესაძლებლობა აქვთ შეაფასონ თიოთოეული სასწავლო კურსის ნებისმიერი კომპონენტი, რასაც მათი თქმით, მოჰყვება რეაგირება როგორც ადმინისტრაციის, ისე ლექტორების მხრიდანაც. ასევე, აკადემიური პერსონალი იღებს სტუდენტების უკუკავშირს როგორც სწავლის მსვლელობისას, ისე კურსის დასრულების შემდგომ.

სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად, ირკვევა, რომ მათ აქვთ ძალიან კარგი კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან, რომლის დახმარებითაც იღებენ ნებისმიერი სახის ინფორმაციას თუ რეკომენდაციას, რაც ამარტივებს და სასიამოვნოს ხდის სწავლის პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
- პროგრამის სილაბუსები
- უნივერსიტეტის საიტი - tsu.ge
- მემორანდუმები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეულ სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. პროგრამაში გათვალისწინებულია მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც ასახულია აკადემიური პერსონალის დატვირთვაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომლზე მუშაობისას. მათთვის ცნობილია ყველა ის წესი და კრიტერიუმი, რაც საჭიროა ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვისთვის. ხელმძღვანელები მაგისტრანტებს რეგულარულ კონსულტაციებს უწევენ, აწვდიან ინფორმაციას კვლევის დიზაინთან, ბიბლიოგრაფიასთან, პროექტის მენეჯმენტსა და სამაგისტრო ნაშრომის წერასთან, კვლევით ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ასევე, ეტაპობრივად ამოწმებენ ნაშრომებს, აძლევენ სტუდენტს უკუკავშირს/რჩევებს და ეხმარებიან მათ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში. უსდ-ს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტები სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულების სახით.

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ მათ ჰქონდათ ყველანაირი ხელშეწყობა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესში და ასევე პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან ხდებოდა მათი ინფორმირება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულება • თვითშეფასების ანგარიში • პროგრამის ხელმძღვანელთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები • სამაგისტრო ნაშრომები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი რეზიუმეებით და ინტერვიურებიდან ირკვევა, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია. პროგრამას ემსახურება 18 პერსონალი, რომელთაგან 11 ფაულტეტის თანამშრომელია, 7 კი მოწვეული (5 თსუ-ს თანამშრომელია, ხოლო 2 მოწვეულია სხვა ინსტიტუტებიდან). 4 დოქტორანტი პერსონალთან ერთად უძღვება სემინარებს. აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს აქვს პროგრამის კომპეტენციებთან შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზი აჩვენებს, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მაღალია. ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო ნაშრომები შესრულებული აქვთ მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში. ამასთანავე, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიცირებით, შემუშავდა მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები, რაც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს შექმნას მაღალ რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები. ინტერვიურებიდან იკვეთება, რომ ფაკულტეტი სისტემატურად ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე. 2017 წლის 8 დეკემბრიდან უნივერსიტეტს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - “Web of Science (WoS) 109 ” რაც მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის; “Web of Science” პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, რისთვისაც ინტერნეტის ნებისმიერი ბრაუზერიდან გადადიან მისამართზე: www.webofscience.com. “Web of Science” პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Report- ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების ბაზებთან Google Scholar, Web of Science, Scopus. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის უმრავლესობას სამეცნიერო შრომები განთავსებულია ResearchGate-ის ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის და დაინტერესებული მხარეებისათვის. დოკუმენტაციით დასტურდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი მიღწევების დიდი გამოცდილება და მნიშვნელოვანი მიღწევები მათ შორის გამოყენებითი კვლევების მიმართულებით, საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება. აკადემიურ პერსონალს აქვს

ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავებისა და კონფერენციებში მონაწილეობის წარმატებული გამოცდილება.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომებით დასტურდება თითოეული მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი რომელიც შეესაბამება მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას.

დოკუმენტაციით და ინტერვიურებით დასტურდება, რომ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს მუშაობის გამოცდილება აქვს როგორც უნივერსიტეტში, ასავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად არის ჩართული დარგის განვითარებაში. კერძოდ, ჩართულია სამთავრობო, კერძო, არასამთავრობო, საერთაშორისო სტრუქტურების თუ კვლევითი ორგანიზაციების მუშაობასა და ღონისძიებაში, როგორიცაა ევროკავშირი, MCA_georgia, UNDP, ETF; მას დაცული აქვს MSA by Research with PHD ედინბურგის უნივერსიტეტში და სტაჟირებისა და საერთაშორისო კონფერეციების არაერთ ევროპულ თუ კანადის უნივერსიტეტში ყოფილა მივლენილი. იგი იყო აკადემიური სტიპენდიის პროგრამის სტიპენდიანტი 6 წლის განმავლობაში (2006-2011), რომლის ფარგლებში მომზადდა სამაგისტრო პროგრამა საერთაშიროსოდ აღიარებულ მეცნირებთან კონსულტაციით; ამავე პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა თბილისის სახელმწიფო უნუვერსიტეტში რამდენჯერმე მოიწვია ცნობილი ფსიქოლოგები. ამავე პეროდში 3-ჯერ მიიღო დეპარტამენტის განვითარების გრანტი (OSI) რაც გამოყენებული იყო აკადემიური პროგრამების მოსამზადებლად და ზოგადად აკადემიური პერსონალის გასაძლიერებლად.

თვითშფასების ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომ 2020 წლამდე პროგრამის განვითარებში აქტიურად იყო ჩართული პროგრამის თანახელმძღვანელი, ნ.ს., რომელსაც ხარისხი ლეიდენის უნივერსიტეტში ჰქონდა დაცული და 100-მდე კვლევისა და ნაშრომის ავტორი გახლდათ. მას ჰქონდა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამშროლობისა და მუშაობის მდიდარი გამოცდილება. ის იყო არასამთავრობო ორგანიზაცია IPS თანადამფუძნებელი და თანადიქრეტორი, რომელიც 2001 წლიდან ფუნქციონირებდა. IPS ორჯერ იყო დასახელებული როგორც აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო Think-thank. დოქტორანტებთან ინტერვიურებით დასტურდება, რომ IPS წარმოადგენდა სამაგისტრო პროგრამის კვლევის ბაზას.

თვითშფასების ანგარიშის საფუძველზე პროგრამაში ჩართული პერსონალის დატვირთვის სქემა განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით. სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი; ასევე, განსაზღრულია მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პედაგოგიური (სააუდიტორიო) დატვირთვის ზღვრული ოდენობა, უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნის შესაბამისად, განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ხოლო რაც შეეხება სამეცნიერო დატვირთვას, იგი იზომება არა საათებით, არამედ პერსონალის მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის შეფასებით. დამხმარე პერსონალისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პოზიციისათვის. პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, დოკუმენტაციის მასალებში წარმოდგენილია მხოლოდ პერსონალთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშები.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, რომელთა მიზანია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის ჩამოაყალიბოს ისეთი შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც, ერთი მხრივ,

აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით, მეორე მხრივ, უნივერსიტეტს გაუჩენს ვალდებულებას, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის.

დამხმარე პერსონალისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პოზიციისათვის, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომოდინარე. აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ.“
- მოთხოვნები განისაზღვრა აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის 122 დადგენილებით, ასევე, ამ დადგენილებაში შეტანილი ცვლილების თაობაზე N29 და N30 დადგენილებებით აღნიშნული დადგენილებები სავალდებულო გახდება 2021 წლის 5 აპრილიდან.
- პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი საგნების მითითებით
- სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალი
- სამაგისტრო ნაშრომები (6 სამაგისტრო ნაშრომი)
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ კონფერენციებში, ტრენინგებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებში, სამუშაო მივლინებებში, მათ შორის თსუ-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ჩამონათვალი
- 20.04.2018 წლის N91/02-01 ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება
- 2014 წლის 30 სექტემბრის #5 და 2018 წლის 12 თებერვლის #1 ოქმებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ინივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულება
- 2014 წლის 9 ოქტომბრის #6 ოქმი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება
- პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები
- დადგენილება №10/2013 4 თებერვალი, 2013 სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებული თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმით N10, 29.12.2014 წ.)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშითა და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ 2018 წლიდან აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი, რაც გულისხმობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას. სასწავლო საქმიანობა ფასდება სასწავლო კურსისა და ლექტორების შეფასების მიზნით სემესტრულად ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვით. კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ყოველწლიურად ხდება ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის წარადგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად. ანგარიშები ეგზავნება მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, რომელიც შეფასებისა და ანალიზისთვის ეგზავნება ეგზავნება მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას.

დოკუმენტებით და ინტერვიურებიდან დასტურდება, რომ თსუ ხელს უწყობს თანამშრომლებს პროფესიულ განვითარებაში – კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაში. უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში: ერაზმუს მუნდუსი, მარი კიური, მევლანა, ორმხრივი თანამშრომლობა, ერაზმუს+ და BASERCAN. თსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრში პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო თსუ-ს 330-მდე თანამშრომელმა. ინტერვიურებისას პროგრამაში ჩართული პერსონალი საუბრობს უნივერსიტეტის მხრიდან განვითარების ხელშეწყობაზე რაც გამოიხატება სამეცნიერო მივლინებების დროს ფინანსური მხარდაჭერაში.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია სხვადასხვა მონაცემთა ბაზებზე ხელწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან პერსონალს ეძლევა საშუალება წვდომა ქონდეს - Clarivate Analytics პროდუქტზე - "Web of Science (WoS) 1010 ". "Web of Science" პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, რისთვისაც ინტერნეტის ნებისმიერი ბრაუზერიდან გადადიან მისამართზე: www.webofscience.com. "Web of Science" პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Report-ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი უშუალოდაა ჩართული სამეცნიერო პოპულარულ ჟურნალ „თსუ მეცნიერების" საორგანიზაციო მუშაობაში.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები, თავის მხრივ, მონაწილეობენ შესაბამის ტრეინინგებში, კონფერენცია/სემინარებსა და შეხვედრებში. პერიოდულად ეცნობიან კვლევის მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევებს, ევროკომისიის პროგრამებს (Horizon2020, EU Commission Grants), მათ სპეციფიკას და პირობებს შემდგომში მომსახურების ეფექტურობის ასამაღლებლად. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტის თანამშრომლების უმეტესობა ამავდროულად არის IREX (უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერის პროგრამა UASP) კურსდამთავრებული. თვითშფასების ანგარიშში წარმოდგენილია, რომ უსდ-ში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიცირებით, შემუშავდა მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები, რაც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს შექმნას მაღალ რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები, მოთხოვნები განისაზღვრა აკადემიური საბჭოს დადგენილებით (აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის 122 დადგენილება, ამ დადგენილებაში შეტანილი ცვლილები N29 და N30, აღნიშნული დადგენილებები სავალდებულო გახდება 2021 წლის 5 აპრილიდან), ზემოაღნიშნული დადგენილება არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მასალებში. თვითშეფასების და დოკუმენტაციის მასალებიდან დასტურდება, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი პერიოდულად აწყობს ტრეინინგებს და პრეზენტაციებს თსუ-ს პერსონალის და სტუდენტებისთვის. კერძოდ, ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების და მათი გამოყენების შესახებ (სამეცნიერო კვლევების მხარდამჭერი რესურსების გამოყენების პრაქტიკულ საკითხებზე, მაგ. Elsevier Scopus, Web of Science (WoS), Journal Citation Reports, ScienceDirect). დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი თ. გ. არის Elsevier - ის ტრენერი საქართველოში და იგი ტრეინინგებს ატარებს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებშიც. ინტერვიურებით და დოკუმენტაციის მასალებით დასტურდება, რომ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ეხმარება ფაკულტეტს დაფინანსების მოპოვებაში, ხელს უწყობს თსუ-ში ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების ადმინისტრირებას, მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი კვლევების ხელშეწყობა; სამეცნიერო კვლევებისა და მდგრადი განვითარებისთვის პირობების შექმნა; პერსონალის პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შიდა მონიტორინფის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ • აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით კვლევის ანგარიში 2020 წლის დეკემბერი • დადგენილება №10/2013 4 თებერვალი, 2013 სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ • 2014 წლის 9 ოქტომბრის #6 ოქმი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება • ფაკულტეტის დებულება • 2015 წლის 16 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებაოქმი # 2 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დებულება • სამეცნიერო კვლევებისა და განვითარებისა დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები:https://www.tsu.ge/ka/scientificrelations/page/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98% E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1 %83%91%E1%83%98-DSRD • თსუ აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის N122 დადგენილება

- თსუ-ს სტრატეგიული გეგმა, კერძოდ, მე-7 და მე-10 სტრატეგიული მიზანი.
- დეპარტამენტის პერსონალის CV-ები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სივრცეების დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თსუ მესამე კორპუსში მისამართზე- ჭავჭავაძის 11ა. საერთო ფართი - 3091.48 კვ. სასწავლო ფართის საერთ მოცულობა - 1213,23კვ/მ; აუდიტორიების საერთო რაოდენობა -24 ერთეული. კომპიუტერულ რესურსცენტრი - ოთახი 206- 20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის, ლაბორატორია 1 – 20 ერთეული კომპიუტერი; ლაბორატორია 2 -20 ერთეული კომპიუტერი; აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა სასწავლო პროგრამა იყენებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს და რიდერებს. რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების 39 აპარატურა;

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტს გამოყოფილი აქვს სამუშაო აუდიტორია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მუშაობა. მათ წვდომა აქვთ კომპიუტერებზე, პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის

მომსახურებისათვის. ანალოგიური სამუშაო სივრცეა ასევე გამოყოფილი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ იმუშაონ დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევებზეც, გამოიყენონ წიგნადი ფონდი და სტაციონალური ტექნიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება, ოქმი #20, 18.06.2009 - თსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება;
- არსებული ინფრასტრუქტურა;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 23 თებერვლის N35/02-01 ბრძანება "სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ"
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 26 თებერვლის ბრძანება N40/02-01 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ"; https://old.tsu.ge/ge/juridical/orders/r09GB1nmy6bktNC/?p=1
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 26 თებერვლის ბრძანება N40/02-01 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ";
- „სასწავლო პლატფორმა moodle-ის მასწავლებლის სახელმძღვანელო" https://tsu.ge/assets/media/files/65/Quality_Assurance/Shida_Usrunvelyofa/Projects/Integrity_Docs/Resourc es/2_OtherRes_Integrity.pdf;
- უნივერისტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი https://www.tsu.ge/ka/library;
- თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი; http://www.sciencelib.ge/
- ელექტრონულ ბაზებთან წვდომა https://tsu.ge/ka/page/%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E 40 1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-DSRD თსუ
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი .

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ყოველ წელს უნივერსიტეტიდან გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა-დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: პროგრამის მომსახურე, როგორც საშტატო განრიგით გათვალისწინებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, ასევე, შტატგარეშე მომუშავე პერსონალის ანაზღაურება; ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხების დინამიკა მზარდია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში მაღალი კვალიფიკაციის კადრების ჩართულობას. წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრებისათვის ფინანსური უზრუნველყოფა; ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ანაზღაურება; სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისათვის აუცილებელი ფინანსური უზრუნველყოფა; სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსება და სხვა. აღნიშნული მიზნებისათვის ფინანსური სახსრების გამოყენება ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საჭიროების შესაბამისად ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და/ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ინტერვიურებით დასტურდება, რომ სტუდენტებისთვის განსაზღვრულია ფინანსური მხარდაჭერა სამეცნიერო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, რაც ხელს უწყობს სტუდენტების ცოდნის ამაღლებას. აღნიშნული მიზნებისათვის ყოველწლიურად გათვალისწინებულია ხარჯები ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისათვის უსდ-ში გამოყოფილია ფინანსური რესურსი. სტუდენტებთან ინტერვიურებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტების იდეების დაფინანსების სხვადასხვა წყარო, უნივერსიტეტში შექმნილია და მოქმედებს სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭო, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების დამტკიცებული წესის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტების მიერ წარმოდგენილი უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსების თაობაზე; ასევე, სტუდენტების პროექტებს აფინანსებს უნივერსიტეტის თვითმართველობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებული უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქმი #1 https://tsu.ge/assets/media/files/68/representing_council/rc_2021/2021_o1.pdf o • გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი; დანართი# 11 • სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭო (პროექტების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საიტზე: https://www.tsu.ge/ge/studpage/projects;)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; • უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება;

- რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით;
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასებისპროცესის ორგანიზება;
- სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სამსახური შედგება ორი განყოფილებისგან:

ა) ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; ბ) აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება.

სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით.

ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და მისი საქმიანობა განსაზღვრულია შესაბამისი ფაკულტეტების დებულებებით.

უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, ძირითადად, მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება (მათ დამტკიცებამდე და ამოქმედებამდე);
- სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება;
- დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელი სპეციალისტების) ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების შეფასების და განვითარების/მოდერნიზაციის პროცესში;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება;
- სტუდენტების და პერსონალის, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და სხვ. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ორგანიზება და მათი კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობით, სტუდენტებისა დაპერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებით;
- კონსულტაციების გაწევა აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისთვის ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- თვითშეფასების პროცესის კოორდინირება/თვითშეფასების ანგარიშის მომზადების კოორდინირება აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- და სხვ.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემით განსაზღვრული ამ აქტივობებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში განხორციელების წესი.

დაინტერესებული მხარეების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების შეფასების და განვითარების/მოდერნიზაციის პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მხარდაჭერის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

- პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი (მათი არსებობის შემთხვევაში);

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი/წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში), რომელიც იმავდროულად არ იკავებს უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობას;
- სტუდენტი/სტუდენტები;
- კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები;
- როგორც პროფილური, ასევე სხვა დამსაქმებელი/დამსაქმებლები (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი სურვილის შემთხვევაში);
- პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
- უცხოელი სპეციალისტი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
- სხვა წევრი/წევრები.

პროგრამის განხორციელების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.

პროგრამის შესაფასებლად გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები. ხდება მათი ანალიზი. პროგრამის შეფასების შედეგების დამუშავების შემდეგ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტს, ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოებს.

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში უსდ ითვალისწინებს: შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას.

საგანმანათლებლო პროგრამის განახლების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ მოხდა განსახორციელებელი ცვლილებების იდენტიფიცირება და სამუშაო ვერსიის შემუშავება, რომელიც განსახილველად წარედგინა საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტს. განხილვების შედეგად შეჯერებული ვერსია განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების შესაბამისად. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს რეკომენდაციებს და გადასამუშავებლად პროგრამა უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს. გადამუშავებული პროგრამა კვლავ უბრუნდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესაფასებლად.

პროგრამის შეფასება ხორციელდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგების, სტუდენტთა საუნივერსიტეტო სერვისებით და მომსახურებით კმაყოფილების გამოკითხვის შედეგების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის

შედეგების, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ ინფორმაციის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე; ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას, თანხმობის შემთხვევაში ამტკიცებს და უგზავნის მას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პროგრამა წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და მათგან უკუკავშირის საფუძველზე პროგრამას დაემატა პრაქტიკის კომპონენტი (5 ECTS), რომელიც დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტებმა შეძლონ მისი გავლა. პროგრამას დაემატა 9 ახალი კურსი, მათგან 1 სავალდებულო და 8 არჩევითი. განახლდა ლიტერატურა და სწავლების მეთოდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა ○ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის სხდომის ოქმი ○ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები და ანალიზები ○ ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმებია-ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის განსავითარებლად ასევე გამოიყენება დამსაქმებელთა შეფასებები. საგანმანთლებლო პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების მიერ მოხდა გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

გარე შეფასების მიზნებისთვის დაწესებულება ასევე იყენებს კოლეგიურ შეფასებას, რომელსაც აქვს აკრედიტაციის სიმულაციის ფორმატი, რომელშიც მონაწილეობას იღებს როგორც პროგრამის განმახორციელებლი პირები, ასევე სტუდენტები, დამსაქმებლები. დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმაციით, აღნიშნული პროცესი წარმოადგენს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარებას. შეფასებას ახორციელებენ სხვა ფაკულტეტების წარმომადგენლები, იწვევენ გარე მონაწილეებსაც/შემფასებლებს. შედეგად, იწერება დასკვნა, ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების მონიშვნა და ხდება კომიტეტისთვის წარდგენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
- პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის

მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების და კვლევების ფართო ასორტიმენტი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, რომლის შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. უნდა აღინიშნოს რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩანს, რომ დაწესებულება ახორციელებს კვლევებს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის მიზნით, წარმოდგენილ კვლევათა უმეტესობაში აღნიშნულ პროგრამასთან კვეთა არ დგინდება, ხოლო სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი სტუდენტთა შეფასების ანალიზები საბაკალავრო საფეხურისაა. დაწესებულება იყენებს სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა გამოკითხვებს სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების მიზნით, სტუდენტთა საუნივერსიტეტო სერვისებით და მომსახურებით კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებს, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებს, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, პერსონალის გამოკითხვას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ უსდ პერიოდულად აახლებს კითხვარებს და და ახდენს მათ მოდიფიცირებას. ჩატარებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით, რომლის დამუშავების შედეგად ჩარტარდა რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის -როგორ შევქმნათ ტესტი ონლაინ სწავლებისთვის. როგორც კვლევის ინსტრუმუნტს, ახდენს ლექციების განხორციელების მონიტორინგს- დასწრების, გაცდენების შესამოწმებლად; დაწესებულებას აქვს სტუდენტებთან მჭიდრო კავშირი, რათა გამოიკითხვის მეშვეობით დაადგინონ მიმდინარე პრობლემები. ამისთვის გამოიყენება პირდაპირი მიმართვა, განცხადების სახით მიმართვა, სტუდენტების გამოკითხვა. ხდება საგამოცდო მასალის და შეფასების სისტემის შეფასება/მონიტორინგი. ამ დროს სწავლობენ სილაბუსების თემატიკას და საგამოცდო მასალის შესაბამისობას სილაბუსებთან; საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის შესწავლას, ასევე მიღებული შედეგების ანალიზს. გამოცდის შედეგების შეფსების ობიექტურობის შეფასებისთვის შემთხვევითი შერჩევით მოწმდება საგამოცდო ნაშრომების შეფსების ობიექტურობა. კვლევის შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე პროგრამის შეფასების შედეგები წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტს. საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის მიზნით გამოიყენება ასევე აკრედიტაციის სიმულაციის ფორმატის კოლეგიალური შეფასება. მონიტორინგს ექვემდებარება ის პროგრამები, რომლებიც: ა) აკრედიტაციებს შორის არ შეცვლილა; ბ) რეგულარულად განიცდიან ცვლილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა ○ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N67/2018, 19 თებერვალი, 2018. ,,სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი კვლევები და კვლევის ინსტრუმენტები ○ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: • საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, კვლევები ჩატარდეს კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ნათია ბადრიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
მზია თედიაშვილი

ქეთევან ბერიძე

ნინო ჯოჯუა



თეკლე ჩხეიძე